მომავალი

—საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი—

№ 89 შაბათი, 12 დეკემბერი 1909 წ. № 89

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 50 კაპ. თფილისს გარეთ 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ებ ე ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ჯერზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. საგლოვიანო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გაოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.

1910 წლისთვის მ ი ი ღ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა 1910 წლისთვის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მ ო მ ა ვ ა ლ ი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ეღირება თფილისში და თფილის, გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალი»-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», **Калистрату Конст. Цуладзе.**

უბედური მშობლები: დისა და ალექსანდრე, გულდამწვარი ძმები გიორგი და მიშა, რძალი სოფიო და ძმისწული საშერა, ბიძა და ბიცოლა ჰეფაგია და ბეჟან, ბიძაშვილები ალსან და კოწია საბახტარიშვილები, ბიძა და ნათლია სიდონ და ზინა ებრაიძენი, დეიდები ანნა ხოკოლავანი და ფეოდოსია ტორაძისა გულ-მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულ გარდაცვალებას დაუკიწყარი ძვირფასის

ილიუშა საბახტარიშვილისას

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 5 საათიდან. დასაფლავება დანიშნულია კვირას, 13 დეკემბერს, შუადღის სამ საათზე ქ. ფოთში.

ღრმათ დამწუხრებულნი ნათლიდედ-ნათლიმამა ეკატერინა და ანდრონ წულაძენი თავის პატარა გივით აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულათ გარდაცვალებას მათის ძვირფასი ნათლიის

ილუშა საბახტარიშვილისას

დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთს 13 დეკემბერს, შუადღის 3 საათზე.

გ ლ ე ხ ი-კ ა ც ი ს ი ს ტ ო რ ი ა

მ ი ი ღ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა

„გ ლ ე ხ ი-კ ა ც ი ს ი ს ტ ო რ ი ა“-ზ ე

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

შ ი ნ ა ა რ ს ი წ ი გ ნ ი ს ა:

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საკანგებო წერილი. (зак. письмо). გამომცემლობა ეკედება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება, რომელიც «მომავალის» და „დროები“-ს 6 დეკემბრის ნომრებთან ერთად დაურიგდა ხელის მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—7)

ვერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 12 დეკემბერს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება

სიძე სიმამრი

კომ. 3 მოქ. ვ. გუნიასი.

ადგილების ფასი. 25 კ.—5 კ. **დასაწყისი საღ. 8 საათზე.**

რეჟისორი ნორდანოვი ✦ ადმინისტრატორი კოსინკოვი.

თ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ ი

პეტერბურგის დრამატიული თეატრის ვ. ფ. კომისარჟევსკაიას **გ ა ს ტ რ ო ლ ე ბ ი,** 6-დან 14 დეკემბრამდის.

ჯერ ფეოდორეანს **კომისარჟევსკაიას** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

შაბათს, 12 დეკემბერს
„ცხოვრების ნადიმი“
ახალი პიესა ბშაბიშევსკისა 4 მოქმედება.

კვირას, 13 დეკემბერს
„ოგნი ივანოვიჩი ნოჩი“
დრ. 4 მოქმ. ზუდერმან. თარგ. საბლინისა

ორშაბათს, 14 დეკემბერს
„ნ ო რ ა“
დრამა 3 მოქმ. იბსენისა, თარგ. განზენისა.

აღებული ბილეთები გამოდგება.

დირექციის რწმუნებული პ. ა. რუდინი

დასაწყისი საამოს 8 ს

ქართული ავლაბრის თეატრი წარმოდგენა № 2

(**დირექცია ამო-ხარაზიანი**)

შაბათს, 12 დეკემბერს 1909 ავლაბრის ქართულ დრამატიულ ხელოვნების ამხანაგობის მიერ თამარა გოგოლაშვილისა და ს. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი

პიესა 4 მოქ. ტ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ **ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.**

რეჟისორი ს. **სვიმონიძე** გამგე თ. **ნასიძე**

თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ე რ ძ ო ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

30 მუდმივი საწოდით და სამშობიარო განყოფილებით. და არის ყოველ დღე გარდან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

გურკო ბ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ძიძოლაძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი ბ. ბ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

ფიროდოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

ბოკოვი ბ. ა ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს.

სოგოლევსკი ვ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე, 9—11 ს.

[illegible]

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური [illegible] ტორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—55)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

ვ ო ვ ზ ლ ი ს კ ე რ ძ ო ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოვზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. ბომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. ბოკოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. ბ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—55)

ქ. ბ ა თ უ მ შ ი

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

მ ა ღ ა ზ ი ა

ვ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ჭეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბოლოლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლინოლეუმის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაკრებს. (0—6—9)

თ ფ ი ლ ი ს ი ს

ქალაქის გამგეობა

იწვევს მსურველთ ქალაქის ზოგიერთი უბნების განათების საქმის იჯარით ასაღებათ ჩვეულებრივი ნავთის ფარნებით. ამ ჟამათ იჯარით გასაცემია 3000 ცალი ფარანი. საჯარო ვაჭრობა მოხდება ქალაქის გამგეობის დარბაზში შაბათს, 16 დეკემბერს, მდგომარე 1909 წლისა, ნაშუადღევის 1 საათზე.

ყოველივე პირობების და კონდიციების გაცნობა ამ საქმის შესახებ შეიძლება გამგეობის პირველი განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე, ათი საათიდან დღის 3 საათამდე. (3—6—3)

სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 13 დეკემბერს 1909 წ. ზუბალოვის სახალხო სახლში ექიმი **ე. ბ. ფედოროვი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

დაღლილობის ფიზიოლოგია

შემდეგის პროგრამით:

შემეცნების განმარტება. დაღლილობის სახეები. მუშაობა და დაღლილობა, ადამიანის სხეულის ორგანოების წესიერი მუშაობის პირობები, გულის დაღლილობა, კუნთების ნერვების და გრძნობის ორგანოების დასვენება, შთაბეჭდილების როლი. მოწყენილობა და შიში, როგორც დაღლილობის ფაქტორები საზრდოობა და შრომის უნარი, ნერვების აშლილობა, დასკვნა.

ადგილების ფასი 5 კ.—10 კ.-დე.

დასაწყისი დილით 12 საათზე

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

დ. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზეიან ახლო.

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დვალიშვილისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

ს. ვ ა შ ა ე ფ ა ძ ე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

ფერა-ქითხვის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს,

რომ კვირას, 13 ამ თვეს, სამეურნეო ბანკში

დ ა ნ ი შ ნ ულ ი ა

საზოგადო კრების გაგრძელება

განსახილველი საკნები:

1. 1908 წლის ანგარიში.
4. [illegible]

კრება დაიწყება 11 **საათზე.** 3—3

პ რ ე ს ა

გაზეთი „ვოლოს მოსკვი“ ეხება საბელმწიფო დუმაში მემარჯვენეთა ფრაქციის წევრების უწესოთ ქცევას და ამბობს:

„შფოთიანი“ სხდომები, სამწუხაროთ, ძალიან ხშირ მოვლენათ გადაიქცა ჩვენს ახალგაზდა პარლამენტში და ვულგალური უწესოების ხასიათი მიიღო. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი უმთავრესათ უკიდურესი მემარჯვენენი არიან. იმათ დუმაში თავი ისე უჭირავთ, როგორც ველურ მეომართ მტრის ბანაკში. უკანასკნელ სხდომაზე ჩადენილმა უწესოებამ ყოველ მოლოდინსა და საზღვარს გადააჭარბა, თუ კი რაიმე საზღვარი კი აქვს კელეპოვსკების, ტიმოშკინების, პურიშკევიჩების და მარკოვ მეორის თავხედურ საქციელს.

ცოტა ქვემოთ განაწყენებული ოქტომბრისტი გვამცნობს, თუ რა პოლიტიკური სარჩული უდევს მემარჯვენეთა ასეთ საქციელს:

დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა დუმაში უწესოების მოხდენა უკიდურეს მემარჯვენეთა წარმომადგენლების პირადულ უკულტურობისა და უზრდელობისათვის მიგვეწერა. ოჯახურ ცხოვრებაში ისინი, ალბათ, თავდაჭერილნი არიან და, რასაკვირველია, ასეთ რამეს არ ჩაიდენენ, რასაც დუმაში სჩადიან. უეჭველია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს წესთან, განსაზღვრულ პოლიტიკასთან, რომელიც ტარდება წინათვე შემუშავებული პროგრამით და მიმართულია განაზღვრული მიზნისაკენ. უკიდურესი მემარჯვენენი ვერ მალავენ თავიანთ მძულვარებას მესამე დუმისადმი. „მოსპობა“ მესამე დუმისა—აი რეაქციის ბკუა-მოკლე ბელადთა თანდაყოლილი სურვილი. ამ მიზნით ყოველ ღონისძიებას მიმართეს მემარჯვენეებმა და რომ არაფერი გამოუვიდათ, ახლა ყოველ დღე უწესოების ჩადენით ხალხის თვალში დუმის დამცირება განიზრახეს. ამ პოლიტიკას მემარჯვენენი ცინიკური გულახდილობით ატარებენ.

ასეთ პირობებში „მუშაობაო“, —გულნატკენათ განაგრძობს ავტორი,—ყოველთა წარმოუდგენელია. მაშ, რა ეშველება ასეთ სამარცხვინო მოვლენას? რასაკვირველია, საშვალება უნდა გამოიძებნოს მემარჯვენეთა ასალაგმავათ. „შორს მბვრეტელ“ ოქტომბრისტსაც უძებნია,

უძებნია ასეთი საშუალება და ბოლოს, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, კიდევაც აღმოუჩენია. ის სწერს:

„დუმამ ენერგიული ზომები უნდა მიიღოს თავისი ღირსების და მშვიდობიანობის დასაცავად. უკიდურესი სასტიკი რეპრესიები—აი რა უნდა იყოს პასუხი ყოველი უწესო გამოსვლისა, თუნდაც ამისათვის დუმიდან მთელი მემარჯვენეთა სკანდალისტების ფრაქციის გადენაც დაგვჭირდეს.

თქვენ პირს შაქარი, ბატონო ოქტომბრისტო! სწორეთ გამოცანა გერგებოდათ, რომ თქვენზე გაცილებით ადრე მაგ გამოცანა დუმის მემარცხენე ფრაქციებს არ გამოეცნოთ... განა სუყოველ დღე მაგას არ ჩაგჩიჩინებდენ ოპოზიციონური ფრაქციების წარმომადგენელნი? განა ერთხელ და ორჯერ აღუნიშნავთ და დაუგმიათ სოციალ-დემოკრატებს მემარჯვენეთა თავხედობა და უტიფარი საქციელი? მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ ბოლოს მაინც მიმხვდარან ოქტომბრისტები მემარცხენეთა უმართებულო საქციელის გაკიცხვას და დასჯის საჭიროებას. მარა ოქტომბრისტების „სიტყვა სხვაა, საქმე სხვა“. ამიტომ მემარჯვენეებს შეუძლიათ არხეინათ იყვნენ. ძმა ძმას არ უღალატებს...

სახელმწიფო დუმა

(საგენტოს დეპეშებიდან.)

ლიუცკი მოხსენებას აკეთებს სამხედრო მინისტრისადმი შეკითხვის შესახებ დონის ოლქის მთავრობის უკანონო მოქმედების გამო, რაიცა გამოიხატა კაზაკების ბინების იჯარით გაცემაში. კირიაკოვი აღნიშნავს, რომ მიწების სიმცირე ძლიერ ხელს უშლის კაზაკების ჯარში გასასვლელათ მომზადებას. ის მხარს უჭერს შეკითხვას. მასვე ემხრობა პეტროვი პირველი. კენჭის ყრით შეკითხვას ღებულობენ, თავადი ტენიშევი აცნობს დუმას ვარშავის ციხის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ-შეკითხვის შინაარსს. ადმინისტრაცია უკანონოთ მოექცა ტუსაღ ქალს სოფია ოვჩარეკს, რომელსაც ვარშავის გენერალ-გუბერნატორის მოკვლის განზრახვას აბრალებდენ. მასთან შეიყვანეს კამერაში საიდუმლო პოლიციის აგენტი [illegible] ლაპარაკი და ბოლოს ყველაფერი ათქმევინა. ამ ლაპარაკის დროს იქვე იყვენ დამალული ჟანდარმ რიტმისტ. და მე-2 აგენტი. კომისიამ აზრი გამოსთქვა წარედგინოს შეკითხვა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებს. დუმა უკამათოთ ღებულობს შეკითხვას. თავმჯდომარე აცხადებს, რომ წარმოადგინეს ორი შეკითხვა. კითხულობენ სოციალდემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვას იმის შესახებ, რომ დონეცკი იურიევის სამეტალურგო ქარხანაში საიდუმლო პოლიციის აგენტმა ხოროლსკიმ პროფესიონალურ საზოგადოების გამგეობის წევრ ტოკრევის ბინაზე მისი შინ არ ყოფნის დროს ასაფეთქებელი ნივთიერებანი მიიტანა. პოლიციამ იცოდა ყუმბარები საიდან იყო, გაჩხრიკა ტოკრევი და მეორე პირი, მისცა სამხედრო სამართალში და სამხედრო სასამართლომ კი 6 წლის კატორღა გადაუწყვიტა. შეკითხვის ავტორები ამოწმებენ, რომ სამხედრო სასამართლომ გამოარკვია, რომ ყუმბარები ტოკარევის ბინაზე სხვებმა მიიტანეს. ინტერპელიატორები თხოულობენ მიმართონ შეკითხვით შინაგან საქმეთა მინისტრს. კუზნეცოვი და პოკროვსკი 2 მხარს უჭერენ შეკითხვას და მოითხოვენ საჩქაროთ განხილვას, რადგან ამის დასამტკიცებელ საბუთათ სასამართლოს დადგენილება მოყავთ. გუჩკოვი მოითხოვს შეკითხვა კომისიას გადაეცეს. კენჭის ყრით შეკითხვა კომისიას გადაეცა და პოკროვსკი 2 წინადადებით ორი კვირის ვადა დაენიშნა.

მდივნის თანაშემწე აცხადებს საჩქარო შეკითხვას, რომელიც კადეტებმა შემოიტანეს, პოლკოვნიკ კარპოვის მოკვლის შესახებ. მილიუკოვი აცხადებს საჩქაროთ განხილულ იქნას შეკითხვა, რადგან საჭიროა გამოირკვეს, რევოლიუციონერებმა მოკლეს კარპოვი თუ საიდუმლო პოლიციის აგენტებმა. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკეროორი აცხადებს, რომ კარპოვის მოკვლა ბოროტგანზრახვით მოხდა, რასაც ამტკიცებს ფაქტები. კარპოვი მოკლეს ავაზაკებმა თავის მოვალეობის ასრულების დროს. ბობრინსკი 2 მოითხოვს შეკითხვა საჩქაროთ იქნას განხილული. გუჩკოვი მოითხოვს შეკითხვა კომისიას გადაეცეს. შეკითხვა კომისიას გადაეცა და სამი დღის ვადა დაენიშნა. სხდომა დაიხურა.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა საგენტოსაგან)

11 დეკემბერი.

სპარსეთი

თავრიზი. დიდი მთავრის [illegible] ბაზე [illegible] გაემგზავრა [illegible]

[illegible] **ბი.** გადაიხადეს დიდი მთავარ მიხაილ ნიკოლოზის გარდაცვალების გამო პანაშვიდი. დაესწრენ უმაღლესი პირნი.

საზღვარ-გარეთ

ბომბეი. 8 დეკემბერს თეატრში მოკლეს ოლქის უფროსი მოსამართლე ჯაკსონი. ესმამელ ნაზიკის ოლქში, სადაც ამ უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა არეულობამ. ამ მკველობას უკავშირებენ ერთ ინდოელის სიკვდილით დასჯას, რომელიც ჯაკსონმა გადაუწყვიტა.

ბრიუსელი. დღისით შეიკრიბა დეპუტატთა პალატა მეფე ალბერტის წარსადგენათ ადრესის შესამუშავებლათ. ადრესს 10 დეკემბერს წარუდგენენ.

ლისაბონი. შესდგა ახალი კაბინეთი პროგრესისტებისაგან.

ბუქარესტი. ბოროტ-გამზრახველმა, რომელმაც ბრატიანს რევოლვერი ესროლა, თავის მოკვლა განიზრახა და სასამართლოს შენობის მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა.

ვენა. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც მთავრობას უფლება ეძლევა მოაწესრიგოს ბალკანეთის სახელმწიფოებთან სავაჭრო დამოკიდებულება.

რუსეთი.

პეტერბურგი. 8 დეკემბერს საღამოს 11 საათსა და 4 წუთზე მოკლეს პეტერბურგის დაცვის პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი კარპოვი. მოკლულ იქნა ასტრახანის ქუჩაზე სახლში № 25, სადაც უცნობი სცხოვრობდა მიხაილ ვოსკრესენსკის სახელით და რომელმაც რამდენიმე ხნის წინათ მას აღუთქვა დახმარება რევოლიუციონურ ბოროტ-მოქმედებების გამოკვლევაში. მკვლელმა სისრულეში მოიყვანა თავის განზრახვა ჯოჯოხეთის მანქანით, რომელიც ელექტრონის ზარების მავთულებით იყო შეერთებული.

პეტერბურგი მთავარ სამხედრო სასამართლომ განიხილა საკასაციოს საჩივარი ბეზდანაში საფოსტო მატარებელზე თავდასხმის შესახებ სასამართლოს განაჩენზე, ამ განაჩენით სვირსკის და ზაკრიჟევსკის სიკვდილით დასჯა ქონდათ გადაწყვეტილი, ცეზარინს და კაზაკევიჩს შვიდი წლის კატორღა, გრამოვსკის ოთხი წლის. სასამართლომ პირველი სამის შესახებ გადაწყვეტილება გაუქმა და გრაბოვსკის შესახებ კი ძალაში დასტოვა.

ბაქო. სოფელ ზაბარატში თავის კანტორაში მაუზერის ტყვიით მოკლეს ნავთის ადგილების პატრონი სოფა და ბალა ორუჯოვები. ეპვით დაიჭირეს ადგილების მონადელე გულიევი.

პეტერბურგი. დუმის შეკითხვის კომისიამ ხმის უმეტესობით უარყო კადეტების შეკითხვა კარპოვის მოკვლის შესახებ. მომხსენებლათ ერთხმათ აირჩიეს მა წევრებანს[illegible] მიოროვ. [illegible]ომესიის ბეგრნალში, რომ შეკითხვა უპატიოსნოთ შედგენილია.

ისევ „წ. კ. გ. საზ.“ კრების გამო.

II

გაზეთ „დროება“-ს ძალიან არ მოსწონს ჩვენი გაზეთის წინადადება—საგანგებო კომისიის არჩევა „საზოგადოების“ ყველა საქმეების შესამოწმებლათ. განსაკუთრებით მას შემდეგ მიაჩნია უადგილოთ, რაც ბ. გოგიჩაიშვილმა თავის განმარტება წარუდგინა კრებას, რომელიც „დროების“ აზრით, სრულიად აქარწყლებს საგანგებო და სპეციალურ კაცებისაგან შემდგარ რევიზიის მოხდენის საჭიროებას. „დროება“-ს ჰგონია, რომ ჩვენ რაღაც „ჯიუტობა“ გვალაპარაკებს. კრიტიკა კარგი რამაა, ვვიხსნის ის, მარა კრიტიკას უნდა ჰქონდეს საბუთი და საფუძველი. ამ საბუთს და საფუძველს „მომავალის“ წერილებში ჩვენ არ ვხედავთო. გამოდის, რომ ჩვენ უსაბუთოთ და უსაფუძვლოთ მოვითხოვეთ საგანგებო რევიზია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ვინც დაესწრო გასულ კრებას. წაიკითხა გაზეთებში მოთავსებული ანგარიში, წაიკითხა თვით „საზოგადოების“ ანგარიშები და მოხსენებები, მისთვის ჩვენი წინადადების საფუძვლიანობა და საბუთიანობა აშკარა იყო, მაგრამ რადგან „დროებას“ არ აკმაყოფილებს ყველა ეს, მეტი რა ჯანია, ისევ უნდა დავუბრუნდეთ ამ კითხვას.

„საზოგადოებას“ აქვს საკმაო ქონება. ამ ქონების ანგარიში ყოველ წელს იწერება. ფორმალურათ ყველაფერი რიგზეა მაგრამ, ნამდვილათ, არსებობს თუ არა ეს ქონებები, ამის საბუთი „საზოგადოების“ წევრთათვის არის ის ანგარიში, რომელსაც ურდგენს ყოველ საზოგადოკრებას თვით გამგეობა და ჩვეულებრივათ არჩეული სარევიზიო კომისია. რომ წიგნის მაღაზიაში ქურდობა არ აღმოჩენილიყო, ეს ფორმალური ანგარიშები გარდა კრიტიკისა როგორც ყოველთვის, მეტს არაფერს არ გამოიწვევდა, მარა სულ სხვაა ახლა. გამგეობა თავისი ანგარიშებით, დღემდის გვარწმუნებდა, რომ „საზოგადოების“ ყველა ქონებები უზრუნველყოფილია და არაფერიც არ აკლიათ. რით დასრულდა გამგეობის ეს რწმუნება? იმით, რომ გაფლანგული აღმოჩნდა 6,429 მანეთი. როდის გაიფლანგა და დაიკარგა ამდენი ფული? მთელი წლების განმავლობაში. ე. ი. დაკარგული ყოფილა მაშინ, როცა „საზოგადოების“ ესა თუ ისა გამგეობა გვარწმუნებდა, —კაპეიკიც არ გვაკლიათ. „დროება“ გვეუბნება: ეს ძველი გამგეობის დროს უნდა იყოს მოხდარი (ხაზი ჩვენია) და არა დღევანდლისო. ასე რომ, თვით „დროება“-ც არ იცის როდის და რომელი გამიუხედავათ ამისა, მაინც საჭიროთ არ სთვლის გაიგოს ეს. ესეც რომ არ იყოს, ერთი მითხარით, რომელია ეს ახალი გამგეობა? დღევანდელი? მარა მასში ხომ ისეთებიც ურევია, რომლებიც, ვგონებ, „საზ.“ დაარსებიდანვე გამგეობის წევრათ არიან: ეს გამგეობა ხომ მთელი რიგი წლების განმავლობაში განაგებს საქმეებს და ქურდობა კი მხოლოდ ამა წლის 9 აპრილს აღმოაჩინა.

ის ფაქტი, რომ მხოლოდ 9 აპრილს აღმოჩნდა გაფლანგული იმდენი ფული და თან ის გარემოებაც, რომ ეს ფულები დაკარგული სწორეთ ამ წლებში, როცა გამგეობა თავის ანგარიშებით გვარწმუნებდა, —კაპეიკი არ გვაკლიაო, არის თუ არა ანგარიშ გასაწევი საბუთი, რომ წევრებს შორის [illegible] ვაი თუ სხვა ქონებასაც ასეთი ღდ[illegible] და მისი შემოწმება [illegible]? ჩვენ აზრით ეს იმდენათ საპატიო საბუთია, რომ კრების უმეტესობა და თვით გამგეობაც ვალდებული იყო. წინააღმდეგ არ წასულიყვენ და მიეღოთ ეს წინადადება, მარა „დროება“ გვაჯერებს, რომ ბ. გოგიჩაიშვილის განმარტების შემდეგ სრულიათ უაზრო იყო საგანგებო კომისიის არჩევა. რა განმარტა ბ. გოგიჩაიშვილმა? ბ. გოგიჩაიშვილი თვითონ აღიარებს, რომ კანტროლი რიგიანათ არ იყო დაყენებული. რამდენიმე წლის განმავლობაში სულ არ მომხდარა რევიზია, მდივანმა ორჯერ მოსთხოვა გამგეობას წიგნის მაღაზიის რევიზია, მარა მაშინდელ გამგეობას ყურადღება არ მიუქცევია ამისთვისო. გამოდის, რომ ბ. გოგიჩაიშვილი თვითონ ასაბუთებს ჩვენ წინადადებას რევიზიის საჭიროების შესახებ, მარა არ გვეთანხმება იმაში, თუ ვინ უნდა მოახდინოს ასეთი რევიზია. მისი აზრით, რასაკვირველია, გამგეობამ. ჩვენი აზრით საგანგებო კომისიამ, გამგეობის გარეშე. ბ. გოგიჩაიშვილის განმარტება —ეს ფაქტის ახსნაა, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბრალდების შესამსუბუქებელ გარემოებაზე მითითებაა. მან ვერ დაარწმუნა კრება, რომ „საზ. “ყველა ქონება თავის ადგილზეა და ვერც იზამდა ამას, რადგან თვითონვე აცხადებს, რომ „კანტროლი არ იყო რიგიანათ დაყენებულიო“, რევიზია არ მომხდარა რამდენიმე წლის განმავლობაში და სხვ. ასე რომ, ბ. გოგიჩაიშვილის განმარტებამ, ჩვენის აზრით, კიდევ უფრო საჭიროთ გახადა ჩვენი წინადადების მიღება.

ამ რიგათ, ბ. გოგიჩაიშვილმა, თავის მოხსენებით სრულიად ვერ გაფანტა ის შეხედულება, რასაც ადგილი აქვს წევრთა შორის.

მარა იქნებ სარევიზიო კომისიამ დაამტკიცა კრებას რამე? სრულიათ არაფერი. პირიქით, ბ. ღულაძემ საჯაროთ [illegible] ბიათ ყველა ქონების რევიზია და [illegible] შემომოწმებიაო. ეს კიდევ ცოტაა. სარევიზიო კომასიას რევიზია მოუხდენია 1907 წელს და სხვათა შორის საზოგადო კრებას, წიგნის მაღაზიის შესახებ შემდეგს მოახსენებს: „წიგნების გამოცემათა დავთრების გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ „საზ“. გამოცემანი [illegible] საკამისიოთ მიღებული წიგნები საერთო დავთარშია ჩაწერილი და უკეთესი იქნებოდა ეს აგნარიშები ცალ-ცალკე დავთარში იყოს აღნიშნულიო.“ *)

*) „წ. კ. გამ. საზ.“ ანგარიში—1908 [illegible] გვ. 18.

სტუდენტი ივანოვი.

(შემდეგი)

ივანოვი გამოვიდა ქუჩაში და რამოდენიმე წუთი მიდიდა ტროტუარზე, თუმცა თითონაც არ იცოდა სად და რისთვის. შემდეგ შეჩერდა, უკან გამობრუნდა და დიდხანს იარა. ფიქრობდა იმაზე, რომ ეხლა წასავალი აღარსად ჰქონდა და ეს არც ღირდა, ამიტომ უნდა ვისმესაგან რევოლვერი ეშოვნა და თავი მოეკლა. ცხადათ წარმოუდგა, რომ ძებნა რაიმე სამუშაოსი ამაო იყო, რადგან სიცოცხლეც და ადამიანებიც უარსა ჰყოფდენ მას. აღარც ძალა შესწევდა მეტი. მღელვარებამ, შიმშილმა, წვიმაში სიარულმა და სისველემ საშინლათ მოქანცა. ისე მოიღალა, რომ მოუნდა მიწაზე გაწოლილიყო და თვალები დაეხურა რათა აღარავინ დაენახა. არ დაენახა არც მიმომსვლელი ადამიანები, არც მეეტლენი, არც მეკარენი, არც მოსამსახურე ქალები, არც დიასახლისი, არც იმისი ქალი, და მოესვენა, რამე გვარად მოესვენა...

ამის შემდეგ ივანოვი წყნარი ნაბიჯით გაემართა თავის ამხანაგ სტუდენტ ზაბალოტნის ბინისაკენ. გაემართა მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან რევოლვერი წამოეღო და თავი მოეკლა. ქუჩიდან, რომელ ზედაც ივანოვი მიდიოდა, ზაბალოტნის ბინა არც ისე შორს იყო და ამიტომ მალე გაჩნდა იგი ნაცნობ კარებთან, რომლის ზევითაც შავს დაფაზე ეწერა: „სასტუმრო ოთახები“. მეკარე აქ არ იყო და კიბეც უბრალო ქვის,—ხალით დაუფარავი. ზაბალოტნი ზედა სართულში ცხოვრობდა და ამიტომ ასვლის დროს ივანოვი გაოფლიანდა—დაიღალა, მაგრამ აი უკანასკნელი საფეხური, აი ბნელი დერეფანი, აი პატარა, თეთრი კარი და კარტოჩკაც: „დ. ნ. ზაბალოტნი, სტუდენტი მედიკი“ ივანოვმა დააკაკუნა.

— შემოდით,—გაისმა შიგნიდან ხმა. ივანოვმა შეაღო კარი და შევიდა ვიწრო ოთახში, რომლის ერთი ფანჯარაც მახლობელ სახლის ნოტიო კედლისაკენ გამოდიოდა. ოთახში ბნელოდა, და მტვრისა და ძველი მებელის სუნი დიოდა.

ზაბალოტნი კრაოტზე იწვა უტუქურკოთ და უწაღოთ. თეთრი ჩულქებიანი ფეხები კრაოტის მოაჯირზე გადაეწყო და დაეჭირა რა ცალ ხელში პაპიროსი, უკმაყოფილო თვალებით აჩერდებოდა შემავალ ივანოვს.

ჰოი,—წაილაპარაკა მან,—მე თქვენ ველარც კი გიცანით პირველათ და ვიფიქრე მკერვალისაგან თუ ვინმე ფულზე მოვიდა მეთქი. ამ სიტყვებით ფეხები კრაოტის მოაჯირიდან ჩამოიღო და ივანოვს ხელი გაუწოდა. ბოლოს წაღების ჩაცმა დაიწყო.

შემდეგ შეხედა ფანჯარას და მთქნარებით იკითხა:

— გარეთ წვიმს?

— დიახ, ცოტა... თქვა ივანოვმა, პალტო გაიხსნა და მაგიდის ახლო სკამზე ჩამოჯდა.

ზაბალოტნმა ჩაიცვა ტუქურკა და წაღები და ხელ-ახლა მიწვა ქვეშსაგებზე.

— აბა როგორაა საქმეები?—იკითხა მან და შეხედა ივანოვს ჯერ სახეზე და მერე პალტოს საყელოზე.

— არა უშავს რა,—წაილაპარაკა ივანოვმა და ცდილობდა თვალი თვალში არ გაეყარა,—ვცხოვრობ ერთგვარათ...

— მინდოდა თქვენთან შემომეარა,—ზაბალოტნიმ,—მაგრამ არ ვიცოდი თქვენი ბინა... იქვე დგეხართ?

— არა, მე ეხლა ახალ ბინაზე ვარ...

— სად?

ივანოვმა დაასახელა ქუჩა და სახლი.

— უნდა რაიმე გვარათ შემოვიარო,—თქვა ზაბალოტნიმ.

რამოდენიმე წუთს ორთავე სდუმდენ. ზაბალოტნიმ ისევ შეხედა ფანჯარას.

— ამ ამინდმაც ძალა წაიღო, აღარც კი მინდა გამოვიდე,—დაილაპარაკა მან.

ივანოვმა შეატრიალა ხელში სახაზავი, რომელიც მაგიდიდან აიღო, დაათვალიერა ჯერ მისი ერთი მხარე, შემდეგ მეორე და ისევ დასდვა რა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს ოთახს ათვალიერებდა. „უნდა ისე ვთხოვო რევოლვერი, რომ ეჭვი არ აიღოს,—იფიქრა მან,—თორემ აღარ მომცემს“. ის თანდათან მღელვარებამ აიტანა...

— გაკვეთილიდან მოვდიოდი,—დაიწყო მან,—და გამახსენდა, რომ თქვენ აქ ახლოს იდექით და შემოვიარე სანახავათ.

ზაბალოტნიმ აღარა თქვა რა და პაპიროსის წევას მოუხშირა. შემდეგ ხველა აუტყდა და გადააფურთხა კრაოტისა და კედლის შორის დარჩენილ სივრცეში.

— ვისთან მეცადინობთ ეხლა თქვენ,—ჰკითხა ზაბალოტნიმ.

— ერთ-ერთ ბავშვთან... ვამზადებ გიმნაზიის მე-ნ კლასისთვის და არა უშავს რა, სასყიდელსაც გვარიანათ იძლევიან..

— „დე იფიქროს, რომ მე ფული მაქვს,—იფიქრა მან, უამისოთ ეჭვს აიღებენ“. შემდეგ ზაბალოტნის პაპიროზი თხოვა, და მოწია რა ოდნავ ათრთოლებული ხელით, ლაპარაკი დაიწყო უნივერსიტეტზე, პროფესორებზე და ექიმობაზე. შემდეგ უცბათ თითქოს გაკვრით წაილაპარაკა:

— ახ, დამავიწყდა კიდეც... მე თქვენთან ცოტა სათხოვარი მაქვს. არ შეგიძლიათ რამოდენიმე დღით რევოლვერი მათხოვოთ? გარშემო ხულიგანები მემუქრებიან...

მას გული ეწოდა —უცბათ რომ მიხვდეს—გაუარა თავში, მიგრამ ზაბალოტნიმ სრულიად დამშვიდებული ხმით ჰკითხა:

— დიდი ხნით?

— არა ცოტა ხნით, ასე ორი-სამი დღით,—უპასუხა ივანოვმა.

— ორი სამი დღით კი შემიძლია,—თქვა ზაბალოტნიმ, მაგრამ უვარგისია, ძველია...

— მე მაინც მინდა, ის, ყოველ შემთხვევისათვის...

ზაბალოტნი ადგა, კუთხეში მდგარ ჩამადანს მიუჯდა და შიგ ძებნა დაიწყო.

— აი, აგერ ისიც, წაილაპარაკა მან და შეყო რა რალაცას ქვეშ ხელი, გამოაძრო პატარა, ხის ხელიანი რევოლვერი, რომელიც დახურა რა ჩამადანი, გადასცა ივანოვს.

— ეხლა შეგიძლიათ თავი დაიცოთ,—უთხრა მან.

— გმადლობთ,—უპასუხა ივანოვმა და რევოლვერს სინჯვა დაუწყო.

ზაბალოტნი ისევ წამოწვა ლოგინზე და მთქნარებას მოყვა.

— მადლობა ღმერთს,—იფიქრა ივანოვმა,—აქ მაინც მოვაგვარე საქმე.—რევოლვერი ჯიბეში შეინახა. ცოტა ხანს კიდევ იჯდა და ლაპარაკობდა უნივერსიტეტზე და პროფესორებზე, ხოლო შემდეგ კი გამომშვიდება დაიწყო. ზაბალოტნი კრაოტიდან არ წამომდგარა ისე გაუწოდა ხელი და ნელა ჩამოართვა.

— მშვიდობით,—თქვა ივანოვმა [illegible] რამოდენიმე წუთს მისი ხელი ხელში ეჭირა,—მშვიდობით, გაიმეორა კიდევ და შემდეგ კარებისაკენ გასწია. [illegible] მოაღო კარი, გამოვიდა და ისევ დახურა, ნელის ნაბიჯით გაემართა დერეფანზე. უცბათ სევდა, საშინელი სევდა [illegible] რძნო გულში. მოესურვა მობრუნებულიყო და ზაბალოტნისათვის ყოველივე ეამბნა. ეამბნა თავისი გაჭირვება, წვალება და ალერსისა და სიყვარულის წყურვილი.

ეამბნა, რომ სახვალიოთ იგი უკვე სტოვებდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, მაგრამ აქ უცბათ ცრემლები მოერია. ხმამაღლა ლაპარაკობდენ ერთი ოთახის კარებს იქედან და მოისმოდა ახალგაზრდა ქალებისა და კაცების ხმები, რომლებიც რალაცაზე დაობდენ და შემდეგ კი ყველამ ერთათ გაიცინეს. ახალგაზრდა პატარა ქალი წიგნებით ხელში წინ შეხვდა კიბეზე და შეხედა რა ივანოვს, კარგა ხანს იყურებოდა მისკენ.

ორმა სტუდენტმა გაუსწრო მას და რალაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდენ.

აცივდა, გარეთ ჰაერს ყინვა მოედო. წვიმა, თოვამ შესცვალა და მალე ტროტუარები თეთრი ფიფქით დაიფარა. მიმომსვლელთა ტანსაცმელი გათეთრდა

როგორც ხედავთ, სარევიზიო კომისიას ერთი კაპეიკიც რა არის ვერ აღმოუჩენია დაკარგული. მას მხოლოდ ის შეუნიშნავს, რომ მაღაზიას ერთი საერთო დავთარი აქვსო. თუ „დროებას“ და ბ. გოგიჩაიშვილს დვაუჯერებთ, ამდენი ფული დაკარგულა 1904—6 წ. წ. სარევიზიო კომისია კი ერთი წლის შემდეგ 1097 წელს გვეუბნება: არხეინათ იყავით. მაღაზიაში ყველაფერი თავის ადგილასაა, მხოლოდ საჭიროა ორიოდე დავთრის შეძენაო.

საგანგებო თანხების შესახებაც სარევიზიო კომისია ასეთივე ცნობებს გვაწვდის: ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ „დავთარი უნდა იქნეს ანბანზე შედგენილი, დავთარიც ზონარ გაყრილი და ბოლოში «სახ.“ ბეჭდით აღბეჭდილი უნდა იყოსო».

სარევიზიო კომისია ყველგან დავთარს ხედავს. ხოლო თუ ამ დავთარს ზონარს გავუყარეთ და ბეჭედი დავასვით, „საზ.“ ქონება ქუდშია.

მოდი და დაემყარე ასეთი სარ. კომისიის მოხსენებას!

ასეთია საქმის ფაქტიური მხარე. არც გამგეობამ, არც სარევიზიო კომისიამ არ იცის რა მდგომარეობაშია „საზ.“ ქონება.

და აი როცა ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ მოვითხოვთ, გავიგოთ რა გვაქვს და რა არა—„დროება“ გვეუბნება: რაღა საჭიროა საგანგებო კომისია, ამას თვით გამგეობა გაიგებს და შეგვატყობინებს, ჩვენ კი მადლობა უნდა გადავუხადოთ გამგეებს უანგრო მოღვაწეობისათვისო. მადლობა თუ საჭიროა, კიდევაც გადავუხდით, მარა ჯერ მოგვეცით საშვალება გავიგოთ—არის თუ არა ყოველივე ის, რაც ჩავაბარეთ გამგეობას, რაც სწერია გამგეობის ანგარიშში.

ვიმეორებთ, ეს საჭიროა თვით საქმისათვის. ჩვენ მოვითხოვდით და მოვითხოვთ „საზოგადოების“ მთელი ქონების შემოწმებას. მარტო წიგნის მაღაზია არ ყმარა. მართალია, გამგეობამ თვითონ გვიჩვენა მაღაზიაში ბოროტ-მოქმედება, მარა ჩვენ ხომ არ გვითქვამს ვითომ გამგეობას ვერ მოეხდინოს რიგიანი რევიზია მაღაზიაში.

[illegible] ჩვენს წინადადებას უადგილოთ და ზედმეტათ სთვლის—თუ საჭირო დარჩა პასუხის მგებელიც თვითონ იქნებიან.

გ. ლ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ქალაქის საბჭო. გუშინ, 10 დეკემბერს, ქალაქის საბჭომ დაამთავრა 1910 წლის ხართ-აღრიცხვის განხილვა გამოირკვა, რომ 1910 წ. შემოსავალი 2,123,763 მ. უდრის, ე. ი. ქალაქის გასავალი 300,000 მ. მეტია შემოსავალზე. საბჭომ ქალაქ. გამგეობას, დაავალა რათა მან ზედ-მეტ გასავლის დასაფარავი წყაროები გამოსძებნოს და ამის შესახებ მოხსენება წარუდგინოს საბჭოს.

✦ ახლათ გასაწვევ ჯარის-კაცთაგან ჯერ ბევრი არ გამოცხადებულა. მათგან ყოველ დღე მხოლოდ 2—3 კაცი ცხადდება სამხედრო საკრებულოში.

✦ „ქ. შ. წ.-ქ. გამავრცელებელ საზოგადოების წლიური საზოგადო კრების შემდეგი სხდომა მოხდება ხვალ, 13 დეკემბერს, სამეურნეო ბანკის შენობაში.

✦ სომხ. საქველმოქმედო საზოგადოება თავის სამკითხველოსთან ერთათ ბიბლიოთეკასაც აარსებს, რომელიც ახლო მომავალში გაიხსნება.

✦ „ჰაერში მფრინავი წრე“. კავკასიის „ჰაერში მფრინავ“ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია თავის „მოქმედება კავკასიის სხვა ადგილებშიაც გადაიტანოს.

✦ მკვლელობა. 10 დეკემბერს, ახალსენაკის მცხოვრებმა, ჩითახოვის მამულში მოსამსახურე მებაღემ ღ. ბ. ხელაძემ პოლიციას განუცხადა, რომ 9 დეკემბერს მის ბინაზე მოიყვანეს მისი ბიძაშვილი ბ. ხელაძე, რომელიც იმ დღესვე მოკვდა. სიკვდილის წინ ხელაძემ განაცხადა, რომ თფ. მაზრის, ს. სოღანლუღში ის დარაჯებმა შეიპყრეს და უზომოთ სცემეს, რადგან ქურდობას აბრალებდენ. ხელაძის სიტყვების მიხედვით პოლიციას ოქმი შეუდგენია. მკვდარი მიხაილოვის საავთმყოფოში გაგზავნეს.

✦ ქართ. ჟურნალი „თეატრი და ხელოვნება“ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოვა, რომელმაც გუბერნატორის წინაშე უკვე აღძრა შუამდგომლობა ნებართვისათვის.

✦ ლექცია. ხვალ, 13 დეკემბერს, სახალხო სახლში ა. იაროშჩენკო ლექციას წაიკითხავს „ჰაერში ფრენაზე“.

✦ გაზ. „კასპის“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ უწმინდესმა სინოდმა, მოიწონა კავკ. ნამესტნიკის აზრი საქართველოს საეგზარხოსოს დატოვების შესახებ და ერთხმათ დაადგინა, უმაღლესი შუამდგომლობა აღძრას საქ. საეგზარხოსოს კათედრაზე კანდიდატის დანიშვნის შესახებ

✦ დიდი მთავრის მახეილ ნიკოლოზის ძის დასაფლავებაზე დასასწრებათ არჩეულნი არიან და პეტერბურგს იემგზავრებიან ფოთის ქალაქის თავი ნ. ხიკოლაძე, ალექსანდროპოლის—ტიგრანოვი, ქუთაისის წარმომადგენლათ არჩეულია სახელმწიფო საბჭოს წევრი თ. ერისთავი

✦ ცეცხლი. „ტ. ლ“ს თელავიდან ატყობინებენ, რომ იქ მაჰავარიანის ტყეებს ცეცხლი გაუჩნდა, რომელიც 35 დეს. სივრცეზე მოედო ტყეს. ცეცხლი ჩააქრეს.

✦ სახალხო განათლების სამინისტრომ ცნობა მოსთხოვა ყველა სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს, რამდენი 4-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი გაიხსნება ამა თუ იმ სამოსწ. ოლქში და ამასთანავე აცნობა, რომ სამინისტროს ამ სასწავლებლისათვის შენობების ასაგებათ დახმარება არ შეუძლია. სასურველია, რომ სასწავლებლის შენობები თვითონ საზოგადოებებმა აგაგონ.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზ. უფროსმა ბრძანება გამოსცა. შენიშნულია, რომ ტელეგრაფის განყოფილებიდან, ხშირათ ამქლავნებენ ისეთ ცნობებს, და გაზეთებშიაც იბეჭდება, რაც გასამღავნებელი არ არის. მივაქცევ რა გარემოებაზე რკინის გზების მოსამსახურების ყურადღებას, წინადადებას ვაძლევ მათ ტელეგრაფის განყოფილებებში კერძო პირები არ შედიოდენ და უფროსის ნება დაურთველათ იქედან ცნობები არ გააქონდეთ.

✦ ახალად დარსებულ არამიანცის სახელობას საავთმყოფოში, რომელიც 20 დეკემბრიდან გაიხსნება, ჯერ-ჯერობით მხოლო 30 საწოლია დამზადებული.

✦ ქართული თეატრი. დღევანდელი ქართული წარმოდგენა გადაიდო 15 დეკემბრისათვის. წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა ს. გლახაშვილისა—„წყურვილი“.

✦ ავლაბრის თეატრი. დღეს, 12 დეკემბერს, ავლაბრის თეატრში ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობისაგან თამარა გოგოლაშვილისა და ს. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ტრიფონ რამიშვილის 4 მოქმედებიანი პიესა „მეზობლები“.

✦ ვერის სახალხო აუდიტორია. დღეს, 12 დეკემბერს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას 3 მოქ. კომ. „სიძე-სიმამრი“.

✦ ჩხრეკა და დაპატიმრება. 10 დეკემბერს, სხვადასხვა საპოლიციო უბნებში შეიპყრეს ადმინისტრატიულ წესით გადასახლებულები და თავისი ნებით დაბრუნებულნი თფ. მოქალაქე ვ. ზ. მამამცევი და დუშეთის მაზრის მცხოვრები გ. დ. რატიშვილი. ამ დღესვე ჩხრეკის დროს სხვადასხვა ადგილებში 52 უპასპორტო შეიპყრეს.

[illegible] ᲐᲡᲔᲡᲘᲘ Ი-Ნ ᲙᲘᲢᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲙᲝ

ღმერთმანი, საშინლათ მოგვეზრდა შანშიაშვილზე ამდენი მიწერ-მოწერა, მაგრამ, რადგან მისი დამცველები არ სცხრებიან და აშკარათ სწიხლავენ სიმართლეს, ძალაუნებურათ ერთხელ კიდევ უნდა შევეხოთ ამ საგანს გაზეთის ფურცლებზე. როგორც მკითხველს ეხსომება, ჩვენ მხილებაზე, რომ ა. შანშიაშვილის დრამა-პოემა—„ოცნების მხარეს“ (იბეჭდებოდა გაზ. „დროება“-ში) ორიგინალური ნაწარმოები არ არის და გადმოგეთებულია როსტანის პიესა „პრინცესსა გრიოზა“-დან, „დროების“ რედაქციამ შემდეგი გვიპასუხა: „ამ დღეებში ვრცელ წერილს გამოუშვებთ, რომელშიაც დავამტკიცებთ, რომ ა. შანშიაშვ. და როსტ. ნაწარმოებს შორის საერთო არაფერია (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ველოდეთ, ველოდეთ მაგ ვრცელ წერილს და, რომ ვერ ვეღირსეთ, „მომავალის“ 75 №-ში ჩვენი ფაქტები გამოუშვით: მოვიყვანეთ ორთავ ნაწარმოების ფორმაც, სიუჟეტიც, ოთხი უმთავრესი მოქმედი პირნიც, იდეაც, თავისუფლათ ნათარგმნი დიალოგებიც და ასე გასინჯეთ, წვრილმანებიც კი! (подробности). თან აღვნიშნეთ მოყვანილ ადგილების №№-იც და ფურცლებიც. ამისდამიხედავათ, „დროების“ ფურცლებზევე შანშიაშვ. დასაცველათ კიტა აბაშიძე გამობრძანდა და ჯერ „დრ“. 268 №-ში გრძელი ლექცია წაგვიკითხა ლიტერატურ. მიმბაძველობის კანონებზე, შემდეგ („დრ“. № 274) ხან მიმბაძველობას ეძახის შანშიაშ. პოემას, ხან ორიგინალურ ნაწარმ. სთვლის და სულ ბოლოს ასეთს კურიოზით დასძენს: „კიდევაც რომ ბლაგიატი იყოს ეს ზღუმა, ჯერ ერთი შანშიაშვილის ხასიათი სრულიად მოსათმენი და შესაწყენარებელი იქნებოდა (ხაზს ჩვენ ვუსვამთ), ვინაიდან ისეთს მშვენიერ ლექსით ნათარგმნს ნიჭის უეჭველ ღირსებათ ჩაითვლება“. არ ვიცით, ქართულ ლიტერ. ეთიკა როგორ უცქერის ასეთს მოვლენას, ხოლო უცხო ლიტერატურაში კი, რაც უნდა კარგათ გადმოსთარგმნო ან გადმოაკეთო ვისიმე ნაწარმოები, თუ მისი ავტორის ვინაობა არ აღნიშნე და ორიგინალურ ნაწარმოებათ დაბეჭდე, უთუოთ არა სასიამოვნო სახელს გიწოდებენ, მიუხედავათ იმისა, რამდენი წლისა ხარ, „მეტრიკას“ არავინ გაგიშინჯავს. რაც შეეხება იმ ავტორებს, რომლებიც ბ-ნ კიტამ დაასახელა—ერთმანეთს ჰბაძავენ, მაგრამ პლაგიატორებათ კი ვერავინ მოიხსენებსო, დიახაც ვეთანხმებით, რადგან არც ერთს მათში მაგდენი არ აუღია მეორისგან, რამდენიც შანშიაშვილმა—როსტანისგან. და სწორეთ ამას ეთიკურათ ჩვენ ვეძახით პლავიატივს. შეიძლება, სიუჟეტი ისესხეს, მაგრამ დანარჩენი ხო თავიანთი შემოქმედების ნაყოფი იყო.

ის ალაგებიც კი, რომელიც ბ-ნ კიტამ მოიყვანა შანშიაშვილის პოემის ვითომდა „თავისებურობის“ დასამტკიცებლათ, ზოგი როსტანის პიესაშივეა, ზოგიც მაგგვარი „პესსიმიზმი“ — უკვე დაძველებული ხილია უცხო ლიტერატურაში მაინც (და არც შესაძლებელია, რომ „ძუძუ მწოვარი მგოსანი“ ეგრე გულ-აყრილი (разочарованный) იყვეს. მაგნაირი ფენომენი მხოლოდ ვეინინგერი იყო და ისიც 23 წლისა, თანაც დიდათ ნაკითხი და ნასწავლი კაცი) არ აბალია ფერიებიც, ავი და კეთილი სულები და სხვა... ამას ყოველი მკითხველი გეტყვით. მაგრამ, ვთქვათ, კიტა აბაშიძის მოყვანილი ადგილები მართლა შანშიაშვილს ეკუთვნოდეს, დანარჩენი ბ-ბო, სამი მეოთხედი, რომელიც ჩვენ „მომავალის“ 75 №-ში მოვიყვანეთ? რატო იმას კი აღარ იხსენებთ?! გარდა მაგისა, ჩვენ ხომ მაშინვე ვთქვით: გადმოკეთებულია (ვიმეორებთ, მეტათ უშნოთ!) და არა გადმოწერილი და კიდევაც მტკიცეთ ვადგევართ ჩვენ რწმენასა! ეხლა უფრო დაჟინებით მოვითხოვთ სამედიატორო სამართალს ნეიტრალურ პირთაგან შემდგარს! ბ-ბო! „დამნაშავენი“ არ აჰყავთ სახრჩობელაზე გაუსამართლებლათ და საქმის გაურჩევლათ რათ უფლებით მიწოდებთ „ციდის-მწამებელს“ რა უფლებით მლანძღავთ და მაგინებთ გაზეთის ფურცლებზე?! მართალნი ხართ—მობძანდით სასამართლოში, არა და—როდემდინ უნდა ვწეროთ „გამოკვლევები“ შექსპირის მემკვიდრე შანშიაშვილის პოემაზე?! იქ დაამტკიცეთ: მართლა „ცილის მწამებელი“ ვარ, მართლა „აბსურდულია“ ჩემი მხილება, მართლა შანშიაშვილის „დაფნებს“ შურით მომდის ეს, მართლა „უმეცარი“ და „უვიცი“ ვარ და სხვა... სანამ კი ოთხმოცდა ათი წერილიც რომ დაბეჭდოთ და რაც უნდა უშვერი სიტყვებით მლანძღოთ, ჩემგან პასუხს ვერ მიიღებთ! დაგვილოცნია თქვენთვის შანშიაშვილი: „რაც ალხანა ის ჩალხანაო“. **ნ. დ.**

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

ᲒᲚᲮᲛᲐᲚᲔᲗᲘ

ანტიდინასტიური კომპანია. სამხედრო კავშირის გაზეთი „ქრონოსი“ (დრო) სასტიკათ კიცხავს მეფის სასახლეში გამეფებულ ზნე-ჩვეულებას. გაზეთი ამტკიცებს, რომ მეფის ნდობით აღჭურვილი არიან უღირსი პირები, რომელნიც თავიანთი საქციელით ქვეყანას ცუდ მაგალითს აძლევენ. მეფის მრჩევლებმა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონო. საბერძნეთის პოლიტიკურ წრეებში „ქრონოსის“ გამოსვლას დიდ მნიშვნელობას აწერენ. ამ შემთხვევას ისე უყურებენ, როგორც ანტიდინასტიური კამპანიის განახლებას.

ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

შორეულ აღმოსავლეთში მოსალოდნელ ომის შესახებ გაზეთებმა შემაძრწუნებელი ხმები გაავრცელეს. მთავრობამ ოფიციალურათ განაცხადა: გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები საბუთს მოკლებულია, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ინტერესებს არავითარი საფრთხე არ მოელისო. „ნოვოე ვრემიას“ მესვეურს—მენშიკოვს მთავრობის ოფიციალური განცხადება არ ჯერა და საომარი სამზადისისკენ იწვევს რუსეთის ქვეშევრდომთ.

გათეთრდა შლიაპებიც და ეტლების სახურავებიც. ბნელდებოდა და აქა იქ ფარნებს ანთებდნენ.

ივანოვი მიდიოდა ქუჩაში და სევდა სულ უფრო და უფრო იტანდა მის სულს, თანდათან უსუსტებდა გულს და მთელს სხეულს... ამ დროს რაღაც არა-ჩვეულებრივი სიძლიერით მოუნდა ვინმე მას მიალერსებოდა, მისთვის თანაეგრძნო და თუნდ ცოტა ხნით გაეგო მისი სევდა და წვალება. დიდი ხანი იყო ის მოკლებული ყოველივე ამას. მას თითქოს ყველანი გაბოროტებით შესცქერდა, მისდამი შურისძიებით აღვსილიყვნენ და რამდენათაც იგი ამას გრძნობდა, იმდენათ მეტათ ენატრებოდა მეგობარი, თანამგრძნობელი. მაშინ შეიძლება აღარც კი მოეკლა თავი, შეიძლება ეცხოვრა კიდეც, ყოფილიყო ბედნიერი და ცხოვრებაც მეტის მხიარულებითა და მშვენიერებით მოჩვენებოდა. აი ბევრი ხალხი მიმოდიოდენ ქუჩებში, ბევრი სცხოვრებდენ სახლებში, ყველა ამათ ბევრი მოეპოებოდათ სათანაგრძნობო სიტყვები, ჰქონდათ სული, ტვინი და გრძნობები, მაგრამ ყოველივე ეს, მასთან ასე ახლოს მყოფი შორს, ძლიერ შორს იყო მისგან. ის ერთია მარტოდ მარტო და არავის არავითარი საქმე არა აქვს მასთან... ის მოიკლავს თავს და მაშინაც არავის არავითარი საქმე არ ექნება მასთან. აი თოვლიც გარშემო ყოველივეს ათეთრებს, შეიძლება ხვალ ზამთარიც იქნეს და ნოტიო, წვიმიანი დღეების ნაცვლათ ყინვები დაიჭიროს. ჰაერი რაღაც სიფხიზლით აივსება, მარხილებზე ზარები აჩხარუნდებიან, ღამღამობით ცაზე ვარსკვლავებიც კაშკაშს იწყებენ და ყველა ესენი გარშემო რაღაც მოთავსებულათ იქნებიან.

შემდეგ საშობაო დღესასწაულებიც დადგება, ახალი წელიწადიც მოვა და ქალიშვილები სახელების კითხვას დაუწყებენ მიმოსვლელ კაცებს... ისაზროვნებენ, სარკის წინ იჯდომებიან, სიყვარულზე იოცნებებენ, სახლებში „იოლკები“ გაჩაღდებიან და მათს გარშემო მბრწყინავი და მხიარული ბავშვები შეჯგუფდებიან...

იქნება მხიარულება, დღესასწაულობა, ხმაურობა, მაგრამ ის უკვე აღარ იქნება ქვეყანაზე და ვერავინ, ვერც მოზრდილი ქალები და კაცები, ვერც ახალგაზრდა ქალიშვილები და ბავშვები, ვერ გაიგებენ მის ეხლანდელ მოსაზრებებს, მის ეხლანდელ ტანჯვა-წვალებას, რომ ყოველივე ესენი იმათ გაეგოთ, მაშინ შეიძლება აღარ ყოფილიყვენ არც დღესასწაულები, არც „იოლკები“, არც მხიარული სიცილი... ამ დროს შეიძლება ყოველივე სიბნელეს მოეცო და ყველას გულსაც სევდა დაუფლებოდა. თვალები ისევ ცრემლებით აევსო. მოაგონდა შორეული წარსულის დღესასწაულები, როცა იგი თითონ ბავშვი იყო და მხიარულათ ხტოდა „იოლკის“ გარშემო. მოაგონდა როგორ ისაზრებდა ჯერ კიდევ შობამდის, როგორ წებავდა „იოლკისათვის“ სხვა და სხვა ფეროვან ძეწკვებს, როგორ რთავდა მას, ჰკიდებდა მასზე ვერცხლისა და ოქროს კაკლებს... მოაგონდა როგორ იღვიძებდა იგი „იოლკის“ მეორე დღეს და როგორ იდგა იგი მის მახლობლათ მორთული და მოკაზმული... წარსული იყო ეხლა ყველა ეს, მაგრამ წარსული მოუბრუნებლათ და ნაცვლათ იმისა, დარჩენილიყო მხოლოდ ერთი სიკვდილი...

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო,—ფიქრობდა იგი,—თუნდ ეხლა მაინც გამიგოს ვინმემ, დავენანო ვისმეს. თუნდ სიკვდილის წინეთ მაინც გამაგონა რამდენიმე ალერსიანი, სათუთი სიტყვა. უცბათ გაახსენდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც იგი ოდესღაც უყვარდა და რომელიც იქვე ახლო იდგა. ახ, თუნდაც ერთი მისი დანახვა, თუნდაც ერთი მასთან დალაპარაკება... და უცბათ მოაგონდა იმისი ხმა, იმისი მოძრაობა, იმისი ღიმილი. ყოველივე ეს ოდესღაც მისთვის ისე ახლო, ისე ხელმისაწვდომი იყო და ეხლა კი, უთუოდ იგი მასაღარ იგონებს, ვინმე სხვა უყვარს და შეიძლება დანიშნულიც იყოს... „სულ ერთია, სულ ერთია,—ფიქრობდა ივანოვი,—ოღონდ ცოტა ხნით დამანახვა ის“...

წავიდა, რომ ერთხელ კიდევ ენახა ოდესღაც მეგობარი ქალი. თოვლი მატულობდა და ძირს დიდ ფერფლებათ ეცემოდა. თვლები ეტლებისა უფრო რბილათ ხმაურობდენ და გარშემო ყოველივე თეთრდებოდა. გათეთრდა ქუჩები, გათეთრდა ტროტუარები, გათეთრდა ფარნები, გათეთრდა მისი პალტოც. ივანოვს სახე თან და თან უსველდებოდა და თოვლის ფერფლები პალტოს საყელოდან ეკრებოდა. დაბნელდა გარშემო ყოველივე. ელექტრონის ფარნებს ცვლიდენ გაზისანი, ძვირად ხვდებოდა განათლებული მაღაზიები და ხალხიც უფრო ნაკლები მიმოდიოდა. ქვისა და ხის სახლებმა ერთი მეორეში არევა იწყეს და ქვედა სართულის ფანჯრებიდან სუფრის გარშემო მსხდომი ხალხი მოსჩანდა, რომლებიც ჩაის შეექცეოდნენ... თამაშობდენ ახალგაზრდა ქალები როიალებზე, ეწყოთ... ხტოდენ ბავშვები, მათ თანა სდევდენ ძიძები... ყოველივე ამან ივანოვის თვალთა წინ გაიელვა და თითქოს ჩასჩურჩულა, რომ არსებობს ცხოვრება მშვიდი, სიწყნარით სავსე, არსებობს უზრუნველი გართობა, არის მხიარულება. მაგრამ ის უკვე აღარაფერზედ ჰფიქრობდა და მხოლოდ უფრო სიჩქარით მიდიოდა. აი ნაცნობი ქუჩა, რომელითაც იგი ხშირად აცილებდა საყვარელ ქალს. კიდევ რამოდენიმე სახლი და შემდეგ ის სახლიც გამოჩნდებოდა, რომელშიაც თითონ ეს ქალი იდგა... აი ისიც, ჰატარა ხის შენობა. მისი ოთახის ფანჯრები განათებული მოსჩანდა... უთუოდ სტუმრები იყვნენ...

ის შეჩერდა. რა უნდა ეთქვა მისთვის? რად მიდიოდა მასთან? ხომ დიდი ხანი იყო რაც აღარ შეევლო და შესაძლო იყო როგორც მან, ისე მისმა მამამაც უკვე დაივიწყეს მისი არსებობაც კი. უხერხულობას გრძნობდა, რაღაც რცხვენოდა, მაგრამ მაინც ჩამოსწია ხის ხელი ზარისა. გული მიუმკვდარდა და თავში რაღაც უტრიალებდა...

ვიღაცამ სწრაფი ნაბიჯით ჩამოირბინა კიბე, ტანისამოსის შრიალით მივარდა და გასაღები გადაბრუნა რა, უცბად კარები გამოაღო. ახალგაზრდა მოსამსახურე ქალი შეწითლებული და მომღიმარი, მხიარული თვალებით უყურებდა მას.

— ბარიშნა შინა ბრძანდება?—იკითხა ივანოვმა.

— შინ არის, მიბრძანდით,—უპასუხა წკრიალა ხმით ქალმა და წაიღო რა კარებიდან ხელი, იქეთ გადადგა. ივანოვი შევიდა კარებში და კიბებზე ასვლა დაიწყო. „რისთვის მივდივარ, რისთვის მივდივარ?“—უტრიალებდა თავში.

მოსამსახურე ქალმა მიხურა კარები და გაყვა ივანოვს. კიდევ იყო მეორე კარი და შემდეგ წინა ოთახიც. აქ მეტი სინათლე იდგა და ქალებისა და კაცების ჩასაცმელებიც მრავლად ეკიდა. სასადილო ოთახიდან მოისმოდა როგორ სვამდენ ჩაის, წკრიალებდა ჭურჭელი და ხმა მაღლათაც ლაპარაკობდენ...

ივანოვმა ქუდი მოიხადა და წინა ოთახში შუა ადგილზე დადვა. მოსამსახურე ქალიც შეჩერდა მის მახლობლათ და აჩერდებოდა როგორც მას, ისე მის თოვლით დაფარულ პალტოსაც. ასე იდგენ რამოდენიმე წუთი... შემდეგ ივანოვმა სიჩუმე დარღვია და წყნარი ხმით დაილაპარაკა:

— მე ბარიშნას ნახვა მინდა, თხოვეთ გამობრძანდეს ერთი წუთით...

გაუნძრევლად მდგომი მოსამსახურე ქალი თანდათან სერიოზულ სახეს იღებდა და ივანოვს აჩერდებოდა. ივანოვი შეშფოთდა.

— თუნდ მე თითონ შევალ...,—წაილაპარაკა მან. დაიწყო ჩქარა, მაგრამ უხერხულად გახდა პალტოსი. შემდეგ სურდა დაეკიდა იგი, მაგრამ ხელები ისე უკანკალებდა, რომ ვერ შესძლო დასაკიდზე მოეხვედრებია და ამიტომ მოსამსახურე ქალმა გამოართვა, თითონ დაკიდა და თანაც, რაღაც გაკვირვებული თვალებით აჩერდებოდა.

რ. ლეჩხუმელი.

(შემდეგი იქნება)

საზღვარ-გარეთ

ობსტრუქციის ბოლო. 5 დეკემბერს, როგორც იქნა, ავსტრიის რეიხსტაგში დასრულდა ჩეხ დეპუტატების მიერ გამართული ობსტრუქცია, რომელიც შეუწყვეტლივ 74 საათი გაგრძელდა. ობსტრუქციონისტების სიტყვით, ახლო მომავალში გადაწყდება გერმანელების ბედი ავსტრიაში და თვით ავსტრიის ბედიც, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა ევროპაში.

არჩევნები ინგლისში. „რუსკოე სლოვოს“ ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ მანჩესტერის მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის დახურულ კრებაზე დაასახელეს 80 კანდიდატი, 12 კანდიდატით მეტი, ვინემ წინა არჩევნებზე. ლიბერალებთან შეთანხმების წინადადება ხელ-ახლა უარყოფილ იქნა, რომ უნიონისტებს ხელში იარაღი არ მისცენ ლიბერალების წინააღმდეგ.

ლორდების აგიტაცია. ის შეხვედრა, რომლითაც სხვადასხვა ქალაქებში გამართულ საარჩევნო კრებებზე ხალხი ლორდებს უმასპინძლდება, ძალიან მცირე ნუგეშს აძლევს ზემო პალატის წარმომიდგენლებს. ლორდ აგიტატორების სიტყვებს მსმენელები ყოველთვის დაცინვით ეგებებიან იმ დროს, როდესაც ასკვიტისა და ლოიდ-ჯორჯის სახელის ხსენებაზე დაუსრულებელი „ურა“ გაისმის.

ირლანდიის ავტონომია. ირლანდიის პარტიის მეთაურს, რედმონდს მინისტრ ასკვიტმა აღუთქვა: როგორც კი ლორდთა პალატის აბსოლიუტური „ვეტო“ მოისპობა, პირველ რიგში ირლანდიის ავტონომიის საკითხს დავაყენებთო. რედმონდი სავსებით დაკმაყოფილა მინისტრის დაპირებამ და ირლანდიელ-ამრჩევლებს წინადადება მისცა არჩევნებზე ხმა მისცენ ლიბერალების ან მშრომელთა პარტიის კანდიდატებს.

პარტიული სასამართლო. პარიზში ამ ჟამათ პარტიული სასამართლო ასამართლებს ერთ გამოჩენილ სოციალ-დემოკრატ მენშევიკს, რომელსაც ბურცევი ბრალს სდებს მაქსიმალისტების ჯგუფის გაცემაში. ამ საქმის გამო რამოდენიმე კაცს კატორღა მიუსაჯა სასამართლომ.

რუსეთი.

ადმინისტრაციის განკარგულება. მინსკში პოლიცმეისტერმა პოლიციელებს უბრძანა ზრდილობიანათ მოეპყრან საზოგადოებას. მცირე შეურაცყოფისათვისაც დამნაშავენი სამსახურიდან იქნებიან დათხოვილნი.

შეკითხვის შედეგი. სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ ამას წინათ დუმაში შეკითხვა შეიტანა იაროსლავის გადასაგზავნ ციხეში მომხდარ ინციდენტის შესახებ, რომლის დროსაც ნოვოჟილოვის ქალიშვილი დარაჯმა მძიმეთ დასჭრა ტყვიით. შეკითხვის გამო სამსახურიდან დათხოვნილ იქნა ციხის უფროსი დოდონოვი, ციხის ინსპექტორი რიაბინი პეტერბურგში გაიწვიეს განმარტების მისაცემათ.

კოსტრომის სემინარიაში. კოსტრომის სემინარიაში მოწაფეები ღელავენ. რექტორს პეტიცია გადასცეს. სემინარია ინახულა გუბერნატორმა, რომელმაც მოწაფეებს სიტყვით მიმართა და სთხოვა დაწყნარებულიყვენ.

რეფორმები სემინარიებში. უწმინდესი სინოდი ძალიან დაუფიქრებია იმ გარემოებას, რომ რუსეთის სასულიერო სემინარიებში ნორმალური მეცადინეობა თითქმის ყველგან დარღვეულია. სინოდს განუზრახავს საჭირო ცვლილებანი მოახდინოს სემინარიებში. სემინარიებში მოსახდენ რეფორმების პროექტს, „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით, სინოდი ახლო მომავალში განიხილავს.

სტუდენტების ნაციონალური კავშირი. ნაციონალისტთა კლუბის დაარსებასთან ერთათ პეტერბურგში შესდგა სტუდენტების ნაციონალური კავშირი, რომლის მიზანია ასწიოს მოსწავლეთა შორის ნაციონალური თვით-შეგნება, რუსეთის და მის მცხოვრებთა შესწავლა, ქვეყნის განსაკუთრებული თვისების, ისტორიის და კულტურის გამოკვლევა და სხვა.

50 **მილიონის გადადება.** სახელმწიფოს დაცვის კომისიამ დაადგინა არმიის არაჩვეულებრივ საჭიროებისათვის გადადებულ იქნას 50 მილიონი მანეთი.

გაცრუებული იმედი. სახელმწიფო სათათბიროს მიიღო კოკოვცევის ბარათი რკინის გზის ტარიფის შესახებ. ბარათში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ტარიფის აწევამ რკინის გზის შემოსავალი ვერ გაადიდა და ამიტომ ხელ-ახლა გადაწყვეტილ იქნა პირველი და მეორე კლასის ტარიფის დაწევაო.

ინტენდანტების დატუსაღება. სენატორ გარინის განკარგულებით დაატუსაღეს მოსკოვის საოლქო საინტენდანტოს თავმჯდომარე პოლკოვნიკი ზინოვიევი და ყოფილი თავჯდომარე სვიტოგორ-ტეკინი. დატუსაღებულნი ციხეში გაგზავნეს.

გაპონის საქმე. გაპონის მოკვლის შესახებ ბევრი წერილები დაისტამბა რუსულ და საზღვარ-გარეთელ გაზეთებში, მაგრამ მისი მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე და თვით ტრაგიკული სიკვდილი, ჯერაც საიდუმლოები ზეწრით არის დაფარული. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ დღესაც რამოდენიმე წრე იკვლევს გაპონის საქმეს და „რუს. სლოვოს“ სიტყვით, ახლო მომავალში ფინლიანდიაში გაპონის საქმის შესახებ სასამართლოც დაინიშნება, რომელმაც საბოლოოთ უნდა გამოარკვიოს გაპონის დანაშაულობა. უშაკოვმა, რომელიც გაპონს დაახლოებით იცნობდა, საოლქო-სასამართლოს სთხოვა ნება დამრთეთ გაპონის შესახებ საჭირო ცნობები გამოვაქვეყნო.

პროვინცია

ს. ხაშმი. „სიოსაც გვიქეცი, იქით წაგიქეცი“ სწორეთ ხაშმელებზეა ზედ გამოჭრილი. ჯერ იყო და ბუნებამაც არ შეიბრალა საწყალი გლეხობა და მთელი წლის სარჩო-საბადებელი სეტყვამ გაანადგურა. მოუსვლობით წელში გატეხილ გლეხობას იმედი ქონდა მთავრობა რამე დახმარებას აღმოუჩენდა, მაგრამ დახმარების მაგიერ გადასახადების აკრეფას გაუსვეს ხელი. ვინ დაგიდევდა ქონდა რამე გლეხს ჯიბეში თუ არა. თვით მათმა მეზობელმა არჩეულმა პირებმა თავი „ისახელეს“ გადასახადების აკრეფის დროს. ვინ დაგიდევდა გლეხის აწიოკებულ ცოდვიანის ტირილს. მამასახლისიდან დაწყებული უბრალო გზირამდე შედიოდენ ოჯახებში და ვისაც ფული არ ქონდა, რაც კი ხელში მოხვდებოდათ ურმებზე უდებდენ და ისე მიქონდათ. იყო ისეთი მაკადილები, რომ დარბეულ გლეხებს თვითო აკიდეს ზურგზე ნადვილი და ისე მიატანინეს დახუშულ ადგილს.

ხაშმელი გლეხი.

—

ხოხუმი. 29 ნოემბერს ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებელში გამართულ იქნა სალიტერატურო დიდი სახალხო პოეტის ა. ვ. კოლცოვის დაბადებიდან ასი წლის იუბილეის გამო. დიდი სუეტხოვოთ ჩაატარეს. მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა მასწავლებელი ი. ა. ვასილიევი. კოლცოვის ბიოგრაფია წაიკითხა მე-6 კლასის მოწაფე როკოტინსკიმ, ხოლო „კოლცოვის მნიშვნელობა რუსულ ლიტერატურაში“ მასწავლებელმა ფ. ვ. მიენტმა. ლექსები წაიკითხეს მოწაფეებმა: ბერმანმა, ოვანოვმა, გოჩოლეიშვილმა, ვლასკინმა და ტუაბემ. „დიდის“ გათავების შემდეგ დამსწრეთ უდრმესი მადლობა გამოუცხადეს სასწავლებლის ინსპექტორს მ. აკმანაკს.

— 1905 წლიდან მოწაფეთა მოთხოვნით აქაურ საქალაქო სასწავლებელში შემოიღეს ახალი ენების სწავლა (ფრანგულისა და ნემეცურის), რაგორც ამბობენ, ქალაქის გამგეობის წევრი ბ. ჯუღელი ამზადებს თურმე მოხსენებას, რომ ენების სწავლება მაგნებელია სამოქალაქო სასწავლებელშიო.

— სამოქალაქო სასწავლებლის ვალდებულ საბჭოს ადუძრავს შუამდგომლობა ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ამ უკანასკნელმა გადასდოს სასწავლებლისთვის იმდენი თანხა, რომ შესაძლებელი იყოს ეველა სარჯების დასაფარავათ.

— 29 ნოემბერს, სადამოს, ს. კულასურში, ხოხუმიდან 5 ვერსის მანძილზე, ბორტ-გამზრახველნი თავს დაესხენ იდარიონ ქათამაძეს. წაუღიათ ფულათ 66 მანეთამდე და სროლა აუტეხიათ ქათამაძეს და მის სიძეს სროლითვე გაუცია ესუხი. ბორტ-გამზრახველთაგან მოუკლავთ ტაია არკანია, ხოლო მეორე ვიდაც ჩიქოვანი სასიკვდილოთ დაუჭრიათ. ჩიქოვანი ადგილობრივ სავათმოფოში გარდაიცვალა. ამბობენ, რომ უმთავრესი ბორტ-გამზრახველი კალდავაც დაჭრილიაო. სულ ოფიდი ოთხი კაცი. დამცემების მიერ მოკლულია ი. ქათამაძე, ხოლო სიძე მისი მსუბუქათ დაჭრილია. ი.

დ. ჩოხატაური (გურია). პირველად დეკემბერს გაიხსნა სამკითხველო. გურთხევას ხალხი ბლომათ დასწრო, რაგორც ადმინისტრაციის, ისე უვე-ს დაწესებულებების წარმომადგენლები—ვაჭრები და სხვები. სამკითხველო, სანამ საკმაოთ თანხას შეაგროვებდენ და მოხერხებულ ადგილს შესაფერ შენობას იშოვიდენ, მარამ ადგილობრივ წიგნის მადაზიაში მოათავსეს.

ჯერ-ჯერობით ას ცხრამეტი წევრი ეკვს სამკითხველოს: აქედან ორი სპეციალისტია, რომლებმაც ეხლავე გადაიხადეს ათ-ათი მანეთი, 3 თითო მანეთიანი, 2 სამ აბაზიანი, 22 ათ შაურიანი, 4 ორ აბაზიანი, 7 ექვს შაურიანი და 79 ხუთ-შაურიანი. ამნაირათ, თვიური შემოსავალი 40 მან.-ზე მეტია. წიგნთსაცავის გამგეობამ დადგინა ეთხოვოს ეგენა ქართველ მწერლებს, გამომცემლებს და სწავლა-განათლებისათვის გულშემატკივართ გაუწიონ სამკითხველოს დახმარება რაგორც წიგნებით, ისე ფულით. გამგეობამ სთხოვა აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებლებს: წინანდელი სამკითხველოს წიგნები, ვისაც აქვთ დაუბრუნონ.

— ამ ერთი კვირის წინ ოზურგეთიდან აქ ამოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. ქართველიშვილი და ოთხი დღე დარჩა. მან განკარგულება მოახდინა მიწის ბაჟის მოგრეების შესახებ. კრეფენ 3, 4 და 5 წლებისას ერთათ, რის გამოც ზოგს 20—200 მანეთამდე უწევს გადასახადი. ვინც ფული ვერ იშოვნა, იმათ „უწერენ“ ულის ხარს, ძროხას ცხენს და მიჰყავთ.

— ამას წინათ გატაცებული აურაულის თოფი იმავე დამეს დაებრუნებიათ. მეორე დღეს კანცელიარიის წინ ნახეს მიფუდებული. თავდამსხმელების ადგილსაჩენათ დაიბარეს მახლობელი საზოგადოებები, მაგრამ ისევ გაუშვეს.

— ამ უკანასკნელ ხანებში აქეთ ძლიერ გახშირდა სხვადასხვა ავათმოფობა. აქაური ქსენონი შედამ ავათმოფოებით არის სავსე.

— ერთ კვირაზე მეტია, რომ აქ გახსნეს „ეკვანსანა“, რომელიც მთელი დღე და დამე ხალხით არის გაჭედილი. არის გაცხარებული კარტის, ნარდის და დომინოს თამაში. ეს-და გვაკლდა!

—ლიკ.

მუშათა შორის

ფოთი. ოუსეთის სატრანსპორტო საზოგადოება. რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების გემების დაცდა-დატვირთვა ფოთის ნავთსადგურში დღემდე ადებული ქონდა მუშათა არტელს, რომელიც შეძლების დაგვარათ პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას. მუშაობის პირობები, სხვა დარგებთან შედარებით, არ იყო ცუდი. ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევდა რაგორც საზოგადოების უმთავრეს კანტორას, ისე იმ მოიჯარადრეებს, რომლებიც მუშათა განმაადგილებელ სუფლებულ მოძრაობამდე დაჩვეულნი იყვენ მუშების უმოწყალო ექსპლუატაციას და სხვისი ოფლით მონაგარის მითვისებას. კანტორა და მდა გახსნილი მოიჯარადრენი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ენერგიულათ ცდილობდენ მიზნის განხორციელებას. ჯერ იყო და უმთავრესმა კანტორამ რევიზორის ბ. სეგორეთის ინიციატივით კიდევ კონტრაქტის გათავებამდე მოინდომა სამუშაო პირობების შეცვლა, მარა მუშების სიდიადარულმა და მედგარმა წინააღმდეგობამ ხელი აიღებინა თავის განზრახვებზე და მადაზე მოსული მოიჯარადრეებიც ხახა გამშრალი ცარიელზე დარჩენ. მოსალოდნელი იყო, რომ დამარცხებით გულ დამწვარნი ხელ შეკრულობის ვადის გასვლის შემდეგ მოინდომებდენ მუშებზე ჯავრის ამოყრას. და კიდევაც ემზადებოდენ. ეს დროც ახლოსაა.

1910 წ. იანვარში ვადა უთავდება ძველ პირობას. მოიჯარადრენი ეოველ მხრიდან მიაწყდენ კანტორას: ეოველი იმათგანი (ორიოდეს გარდა) ცდილობს მუშებს სამუშაო წაართვას და ამისთვის არ ერიდება არავითარ საშუალებას. მუშებში შეიქმნა, არევ-დარევის შეტანა, მათი ერთმანეთზე გადაკიდება და შტრეიკებგერების მოწვევა—სამუშაო პირობების შეცვლა ეს მათი ბრძოლაში ნაცადი საშუალებებია, რომლებითაც ისინი მით უფრო იოლ გამარჯვებას აღწევენ, რამდენათაც უფრო შეუგნებელია მუშები და რამდენათ უფრო მეტი სიხალისით ებმიან მოიჯარადრეების მიერ დაგებულ მახეში. მარა ეველა მოიჯარადრეებს დასახელებულ თვისებებით გადაჭარბება თეთის მუშებში ნამდვილ წურბელათ ცნობილმა ადექსა შელაძემ. ეს ვაბატონი უკმე შეთანხმებულა კანტორასთან სამუშაოს ისეთ დაცემულ პირობებში აღებაზე, რის მსგავსი არც ერთ დარგში არ არსებობს. ათასობაზე დაუდია ორი მანეთი (12 მ. მაგიერ 10 მ.) სრულიად მოუსპია მუშების დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან, უარი უთქვამს სადარაჯო თვიურ 700 მან. თანხმდება დამე მუშაობას და სხვა ცუდ პირობებს. ერთი სიტყვით, ბ. შელაძე ერთი ხელის მოსმით აპირებს მუშების მოგებულ პირობების გაქარწყლებას და მის მაგიერ უნდა აგოს თავისი მოიჯარადრეები.

რაგორ დახვდენ თვით მუშები კანტორისა და მოიჯარადრეების სულის გეეთებას? მიიღეს საწირო ზომები საფრთხის თავიდან ასაცილებლათ? საუბედუროთ, დასახელებულ საზოგადოების არტელის მუშებმა ამ შემთხვევაში ვერ გამოიჩინეს ის გამჭრიახობა და სიფიდარობა, რაც მათ მტრის შემოსევის დროს მართებდათ და რითაც იმათ საფუძველზე ერთხელ კიდეც მოიგერეს კანტორისა და მოიჯარადრეების იერიშები. ამ მუშებს კიდევ ვერ შეუგნიმთ, რომ მუშების ერთსულოვნობა და ერთობა საუკეთესო ფარ-ხმალია მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ მათ იწყეს კუთხურ-ჯგუფური პოლიტიკის წარმოება, ამით დაქსაქსეს თავიანთი ძალები და მით მოსჭრეს ის ხე, რომელზედაც თვით ისხდენ. მუშებში გამოჩნდენ (თუმცა ძალიან მცირე) მუშათა საქმის, ხელის შემშლელნი, რომლებიც, რაც კი ახალი პირობების შეკვრის კითხვა დაისვა, მაშინვე მიუჩოჩდენ მუშებისავე მტერს ალ. შელაძეს, გულს უმაგრებენ მას, იერთებენ შელაძის ჩვენებით შტრეიკებგერების და ასე, მტერთან ხელი-ხელ ჩაკიდებული თავისი მოძმეების, მუშების წინააღმდეგ იდაშქრებენ. ამხანაგების მოწოდება დარიგება მათზე არ სჭრის, რაგორც ეს გამოირკვა არტელის უკანასკნელ კრებაზე. ამ კრებაზე წუდებოდა არტელის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი და მათ კი არ ინებეს დასწრება. ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვწოდებთ მათ, გონს მოვიდენ მანამდე, სანამ გვიანი არ არის და თავიანთი არა მეშური საქციელით მტერს გამარჯვებას ხელში ძალათ ნუ აჩეჩებენ. იცოდენ მათ, რომ შელაძეს ჯერ ხელ-შეკრულებაზე ხელი კიდევ არ აქვს მოწერილი და, მაშასადამე, ჯერ საქმის გამოკეთებაც, სანახევროთ მაინც შეიძლება. თუ ამ გონიერ გაფრთხილების შემდეგაც ისინი თავისას არ მოიშლიან, იძულებული ვიქნებით მათი და მათი მოკავშირე შტრეიკებგერების ვინაობა საზოგადოებას ვაცნობოთ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. შელიქ-შახნაზარიანცი

საჭიროა

არის ჟურნალ-გაზეთებისათვის აგენტი დ. ზუგდიდში. პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჯომის ქ. № 5, რუკოვიჩთან და დ. სამტრედიაში ვოგზალზე წიგნის შაკაფში ყ. კოპალეიშვილთან.

(10—2)

გამოვიდა და იყიდება

საქართველოს ეველა წიგნის მაღაზიებში
—● **კეღლის კალენდარი 1910 წ.** ●—
შედგენილი ბ. ბ. ჩარკვიანისაგან- და გამოცემული „სორაპანი“-ს ამხანაგ. მიერ
ფასი 40 კაპ.
═ **სახალხო კალენდარი** ●═
1910 წდ. შედგენილი მ. კაჩეიშვილისაგან, ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისა იყიდის %% დაეთმობა.
ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань“.

(15—11)

გამოვა 1910 წელს საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეექვსე, ხელის მოწერა მიიღება თფილისში:

„ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8) და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, (თავად-აზნაურობის ქარვასლა).

1910 წ. 1 იანვრიდან 1911 წ. 1 იანვრამდის მიეცემა ხელის მომწერლებს: 24 წიგნი მცირე წლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის. გარდა ამისა მიეცემა პრემიათ საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1) დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი.—ზღაპარი ევალდისა, 2) მარჯნები ზღაპარი ევალდისა, 3) თორმეტი და—ზღაპარი ევალდისა, 4) ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე. ფასი ჟურნალისა:

წლიურად	5 მანეთი
ნახ. წლით ორივე გამოცემა .	3 მ.
საზღვარ-გარედ წლიურათ . .	7 მ.
ნახევარი წლით	4 მ.
მცირე წლოვანთ. 24 წიგნი . .	3 მ.
მოზრდილთათვის 12 წიგნი . .	3 მ.

რედაქტორი: მარიამ ივ. ასლანი დემურიასი.
გამომც.: თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

(5—1)

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი მესამე)

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდისხელის მომწერთათვის წლიურათ ჟურნალი ეღირება 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. გაგზავნით, სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი წლიურათ **ოცი მანეთათ** დაეთმობათ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში.

ქალაქს გარეთიდან წერილები და ფული ეგზამეგზაინოს შემოიგზავნოს ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія, Л. Г. Боцвадзе

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ვ. გადილიასს

წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩ) ისყიდება „**მოგზაური**“-ს **სამი წლის** 1901 წ. 1903 და 1904 წ.წ. ნომრები, ივ. როსტომაშვილის რედაქციით გამოსული სამივე წლის **ერთ მანეთად.**

(5—5)

13 დეკემბრიდან თფილისში გამოვა ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

სხივი

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი) ლექსები, კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე. ბიბლიოგრაფიები, შესანიშნავ მწერალთა ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, ახოსმირეული, ბ. გელა, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომლეთელი, მ. ისპანი, ბ. ირეთელი, ა. ლაღიანი, ლეო, რ. ლეჩხუმელი, ვ. მალაქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაჟდენიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუსაძე, ფ. რუშაველი, ვ. ტუქსიშვილი და სხვანი.

პირველ ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა ივ. გომართელის კრიტიკული წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე.

ამასთანავე, იანვრიდან თვეში ერთხელ ჟურნალთან ერთათ გამოვა **კრებული „სხივი“**-ს, მოზრდილი წიგნი. წიგნის ფასი შემდეგ იქნება გამოცხადებული.

კვირეულ ჟურნალში პროვინციის განყოფილებაც იქნება.

წერილები და კორესპონდენციები ერთ გვერდზე და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. დაუბეჭდავ დიდრონ მოთხრობებს და ლექსებს რედაქცია ერთ თვეს შეინახავს, რომლის განმავლობაში უნდა მოიკითხონ ავტორებმა, მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს.

ჟურნალი ეღირება: ერთი წლით 5 მან. ნახევარი, წლით 2 მ. 50 კ. ერთი თვით 50 კ. თითო ნომერი 10 კ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და მთელი წლის ფულს შემოიტანს დეკემბრის ნომრებს უფასოთ მიიღებს.

პროვინციაში ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში წიგნის მაღაზია იმერეთში ის. კვიცარიძესთან, სამტრედიაში რკინის გზის შაკაფში ე. კოპალეიშვილთან, ბათუმში რკინის გზის შაკაფში გ. მახარაძესთან, ჭიათურაში ვ. ხეროძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ე. ლომთათიძესთან და სხვ...

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს დროებით: **Тифлисъ, типографія „Печатное дѣло“ Вельяминовская № 6, Поліевкту Антоновичу Каландадзе.**

კანტორა და სკლადი

ი. ახოგაძისა

გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:

„სპერმატინი“
ავათმოფოებს და სუსტებს. ფდ. 2 მ. 40 კ.

„ალმეზა“
რომელიც აცხრობს უტბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფდკ. 1 მ. 20 კ. სკეთედი 40 კ.

„კლაპოვნი“ სნობს ბადღინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი ბრიფეზარ გიუმონდისა სუსუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფდ. 2 მ. 50 კ.

„პრიმა“ სნობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოკვეთასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფდკ. 1 მ. 20 კ.

მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბრიშიურები უფასოთ. 30—26

სტამბა ამხ. «შრომა» რუსის ქ., 3.